ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-00/07

ქ. თბილისი 10. 11. 2010

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" საგნის განმეორებით შესწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის, ამავე უნივერსიტეტის „საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" X თავის მე-10 მუხლისა და XII თავის მე-2 მუხლის, ამავე უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში" სემესტრული შეფასების „F - ჩაიჭრა/სრულიად არადამაკმაყოფილებელი" მქონე სტუდენტებს საგნის განმეორებით შესწავლისას საფასური განესაზღვროთ:
   ა) დამატებით სემესტრში საგნების სემესტრულად დაგეგმილი რაოდენობის (საშუალოდ 30 კრედიტის მოცულობით) სრულად გავლის შემთხვევაში – მოცემული მომენტისათვის დადგენილი სემესტრული გადასახადის ოდენობით;
   ბ) ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლისას – მოცემული საგნისათვის განკუთვნილი კრედიტების შესაბამისად, ერთი კრედიტის ღირებულება .30 ლარით, უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურზე;

2. დამატებით სემესტრის გავლის ან ცალკეული სასწავლო კურსის განმეორებით მოსმენის უფლება სტუდენტს მიეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე;

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მთავარ ბუღალტერს (ქ-ნი ნ. სხულუხია), სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს (ბ-ნი ე. კოპალიანი);

4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი
პროფესორი სერგო ვარდოსანიძე